



თეატრი სხოვნება

ათავად სალიცურად აქრნალი

№ 32. — 1914

12 ოქტომბერი

გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრებულ
სახელმწიფოთა მმართველნი



1) რუსეთის მეფე ნიკოლოზ მე-II, 2) ინგლისის მეფე გეორგი, 3) ბელგიის მეფე ალბერტი, 4) საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პუანკარე, 5) სერბიის მეფე პეტრე, 6) ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზი, 7) იაპონიის — მიკადო.



№ 32
შინაარსი:

1. მეთაური—საზოგადოებრ. წყლულნი 1
2. ივ. გომართელი—პატარა წერილები 2
3. გ. ქუჩიშვილი—ლექსი: მგზავრი 3
4. ს. ერთაწმინდელი—სასფლაოაზრეც ”
5. ილ ჩხენიშვილისპირელი—* ლექსი 4
ნეკრასოვიდან
6. სოფ. მგალობლიშვილი—ქართველ 5
მწერალთა წერილები
7. სეველია—უკანასკნელი სალამი 7
8. ნ. ჯიხიაშვილი—საქირთა საყოველ- 9
თაო დახმარება
9. მთის ნიავი—კითხვები, ლექსი. ”
10. სიტყვა და სხვანი—ქართული თეატრ- 10
რის დაწეს. გამო
11. თათბირი 11
12. ივ. მჭედლიშვილი—საუბარი ბეკ- 12
დვითი საქმის ხელოვნებაზე
13. ჭ-ნი; მეგობარი—ქართული 13
სახიობა
14. შემოწირულება ქართულ თეატრის 15
ასაშენებლად
15. წვრილი ამბები 16
სურათები; განცხადებინი.

„თეატრი და სხვა“

რედაქციის დროებითი კბინა იმყოფება „სხვა“-
ნაწი“-ს სტამბის კანტარაში (მადანთაის კენ-
ბულზე, № 1). სარედაქციო საქმეებზე მოღვაწე-
რეგება შეიძლება დილით 9—2 ს., საღამო-
თა 5—7 ს.

უპრ. „თეატრი და ცხოვრება“ 5 ქოლდან ამ
წლის უკლომდე გაცხავნით ჭდარს ორი (2) მ
ფული და მასალება უნდა გამოაგზავნოს: Тиф-
ლის, რედ. жур. „Театри да Цховреба“
loc. Имедашვილი.

ახალი გამოცემა იოს. იმედაშვილისა № 52
დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა ტრ.
რამიშვილის ახალი სამ-მოქმედებინი დრამა

დ ე დ ი ნ ა ც ვ ა ლ ი

ფასი 20 კ., ვინც ნაღდად იუიდას ათს წიგნ-
ზე მეტს, დაუმობა 30% სავწობა „თეატრი
და ცხოვრებისა“ რედაქციაში. მისამართი: Тиф-
ლის, რედ. „Театри да Цховреба“—loc.
Имедашვილი (10—1)

ქ. ი. გომართელი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს
მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ.
№ 8, ვერისკენ) დილით 8—11 ს., სა-
ღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

ქართული წარმოღვენა

„არტისტიულ საზ. თეატრში“

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს

ქართ. დრამ დასის მიერ წარმოღვენილი იქნება

ყ ა რ ა ლ ე ბ ი

ტრაგ. 5 მოქ. 9 სურ. შილოერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა
მონაწილეობს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება კასაში
დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი მ. ქორელი

ქართ. დრამ. საზ. გამგეობა



№ 32

წლიურად 5 მ., ნაბეზარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება...
დრამატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპან“
სტამბაში. მისამართი: Тифლისь, ред
„Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწილები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რუდაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., ხალამთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 32

კ ვ ი რ ა 12 ლ ვ ი ნ ო ზ ი ს თ ი ვ

1914 წ.

12 ლ ვ ი ნ ო ზ ი ს თ ი ვ

საზოგადოებრივი წყლული

აგი პატრონი მტერი-ხედაც უარესიოა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

და საითაც გაიხედეთ, თითქოს სწორედ ეს აგი პატრონები მსვეურობენ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათ...

აგი თუ არა, მოქანცული, მოღლილი, უქნარი და თოსნობას მოკლებული მიინც!..

მამათა რკინის ხასიათით შექმნილი საქმენი მათს ხელში უსიცოცხლოდ დაფავს სულს, წინა თაობათა გარჯილობით მოგროვილი ქონება მათის დაუდევრობით ინთქმება და იღუპება!..

ასე დაიღუპა ამ დღეებში მთელი ქართული ერის გროზობით შეგროვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქონება!

ასე დაინთქა ჩვენი წმიდათა წმიდა—ქართული თეატრი!..

დიდი ხანი არ არის, გამოაშკარავდა, ერთს ქართულ არა ნაკლებ წმიდა დაწესებულებაში არა უღმერთოდ ჰქუარდავდენ ქართველ მშვიერ-მწყურვალ მოწაფეთ.

და ყოველივე ეს ჰხდებოდა უპატრონობით ანუ აგი მეპატრონეობით.

აი უდიდესი ცეცხლი ჩვენი საზოგადოებისა და არა ის, რომელმაც 25 ენკენისთვის შეგვიპარწუნა!..

გვითქვამს და კვალადც ვიტყვით, ქართველი ქედს არ მოუღრეკს ამ უცაბედ მარალს—25 ენკენისთვის შეგსხვეულს: გორც წ. კ. ს. ქონებას, ისე ქართულ


ატრს აღადგენს, — საზოგადოებამ უკვე დაიწყო უხვი შემოწირულება და კომიტეტოც შესდგა თეატრის აღსადგენად, მაგრამ..

როდემდის, ბატონებო, როდემდის უნდა ვიყვნეთ მსხვერპლი ზოგიერთ უპასუხმგებლო ვეჯბატონთა, სამუშაოდ საზოგადო მოღვაწის სახელით მონათლულთა?!

როდემდის უნდა ეპატრონებოდენ ქართველი ხალხის წვა-დაგვით მოგროვილ ქონებას ზნეობრივად და ქონებრივად უპასუხის მგებლო ამოღვაწენი?!

წ. კ. ს. ქონებას ვითომ და მთელი საზოგადოებისაგან რჩეულინ ჰპატრონობდენ და იმდენი ვერ მოახერხეს—თვისი მდიდარი საწყობნი ღირებულების ნახევარში მიინც დაეზღვევნათ, რომ სრულიად არ დანთქმულიყო 60-70 ათასი მანათის ქონება!

ქართულ თეატრს მიჩინილი ჰყავს თითქმის მთელი სამი წყება მეთვალყურეთა: თავაზნ. ქარვასლის გამგე-პატრონი ინჟინერი თვისი ხელქვეითებით, ქონების საგანგებო აღმინისტრაცია, ქარ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და თეატრი მიინც ისე დაიწვა, რომ ჯერაც არავინ იცის—ცეცხლი საიდან გაჩნდა, რატომ თეატრში წყალი არ აღმოჩნდა (აშენებისას კი გვიბრდებოდენ — ისეა მოწყობილი, თვალის დახამხამებაში წარღვნას მოეუგდებთ, რომ მოვინდომოთ), მთელი ამოღენა ქონება, თითქმის ნახევარ მილიონად დაზარალებული, რალაც ხუთ თუ ათი ათასი თანხის დაზარალებული და... ნუ თუ ეს მოხდა, რატომ უნდა შევინდომოთ, რატომ უნდა ვივადოთ თუ არა, დაუდევრობა და არის, რომელიც განზრახ ბოროტ-





მოქმედებაზე ნაკლებ დანაშაულობად არ ჩაითვლება?!

ამ ცეცხლმა და სხვა ამბებმა ნათლად გამოაჩინა ჩვენი—ქართველთა უდრდესი წყლული, რომელზედაც არა ერთ გზის გვილი-პარანია,—სახელდობრ: საზოგადო საქმეთა სთავეში ჩამდგარა ზნობრივ-ქონებრივი უპასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე!..


დაუკვირდით, თუ ასე არაა:

დიდი ხანი არ არის, რაც ქართველ მოწაფეთა გროზობით შეკრეფილი ფული, 7000 მანეთამდე, მის შემნახველად მიწვეულმა გაფლანგა, არ გასულა მეტი ხანი—იმვე დაწესებულებაში აღმოჩნდა, რომ მგორესაც რამდენიმე ათასამდე მიუთვისებია.. ამ სამარცხვინო ამბისათვის ჯერ ანგარიში არ გავგეწივინა, რომ თეატრი და წ. კ. ს. დაგვეწვა.. ამ დანაკარგით გულ-გახეთქილთ კისერი არც კი მოგვეფხანა, რომ შევიტყუე—რა დიდად დაგზარადლით: სხვები ცეცხლის გაჩენით თუ მეორე დღესვე ახალ შენობას იწყებენ, უფრო უკეთესს, რადგან დანაზღვევს იღებენ, ჩვენ ახლახლად უნდა შევავაროვოთ წვადავით ფული, რომ დანაკლისი შევივსოთ..

ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა საჭირო თანხას კიდევ გამოიღებს, მაგრამ ეს როდი კმარა! საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გამოიძიებულ იქნას, ვისი დაუდევრობით, ვისი ბაბაყულობით დაეღუბა ქართველ ხალხს ამოდენა ქონება, რომ დანაშაუვნილ მათი ხელდამფარებელნი იურიდიულ თუ არა, ზნობრივ პასუხისგებაში მინც მიეცნენ*), რათა ერთხელ და სამუდამოდ შეიტყონ სქელკანა

ვაჟბატონთა, შემთხვევით საზოგადო საქმის სათავეში ჩამდგართა, რომ საზოგადო ქონებისადმი უყურადღებობასა და მის დამბობას ხალხს არავის აპატიებს,—თვითმართველობას ვეპოტინებთ და ამ მხრით მინც გამოვიჩინოთ თავის თავის პატრონობა, — მეორეს მხრით საჭიროა ყოველ საზოგადო საქმის სათავეში ისეთი მოსაქმე ხალხი ჩავაყენოთ, იმგვარი წესები დავადგინოთ და პასუხისმგებლობა გავაჩინოთ, რომ არავის არას გზით არ შეეძლოს არც განზრახ ბოროტმოქმედება, არც უნებლიეთი შეცოდება, არც დაუდევრობა!

ვეცადნეთ, შემდეგში მინც ავიციდნოთ თავიდან ასეთი ზარალი და მათი შემამთხვეველნი!..



პატარა ჟერილეგი

რა უკვადვიც უნდა იყოს რომელიმე ადამიანი, უწინარეს ყოვლისა ის ადამიანი და ამიტომ შეუმცდარიც არ იქნება. მიუხედავად ამისა ყოველი გამოჩენილი მოაზროვნეს პირველ მიმდევრებს ღრმათა სწამთ თვისი მასწავლებლის ყოველი სიტყვა, ყოველი აზრის უღრმესი სიმათლედ და ქეშმარიტება.

აიღეთ ტოლსტოი, ტოლსტოის მიმდევრები ვერ წარმოუდგენიათ, რომ იმის მოძღვრებაში რაიმე შეცდომა იყოს.

როდესაც მარქსის დიადმა მოძღვრებამ სწრაფად მოიკიდა ფეხი მთელს ევროპაში, მისი მიმდევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ მოძღვრებაში არავითარი შეცდომა არ მოიპოებოდა.

გავიდა დრო და ევროპის ესდევებისათვის ზოგიერთი წერილმანი შეცდომები მარქსის მოძღვრებაში ცხაუხედ ცხადი შეიქმნა

მაგრამ ის, რაც ევროპაში ცხადია, ჩვენი სქელი ბურჟუით არის მოცული და, რაც ევროპაში დაძველებულია, ის ჩვენი ახალ ხილად საღებია.

როდესაც მანიფესტში პირველად წაიკითხეს: პროლეტარებს სამშობლო არ გაჩნიათო, კველა მუშა გაიძახოდა: მე სამშობლო არ გამაჩნიაო სინამდვილემ ევრო-

*) ეს წერილი უკვე დასაბუთად გამზადებული გვექონდა, როდესაც პარტიცემულ ჟურ. „სოდე“-ში მოთავსებული წერილი წავიკითხეთ, რომლის ავტორიც სამართლიანად თხოვლობს ქართ. გომნაზიაში აღმოჩენილ მძარკველთა პასუხისგებაში მიეცეს. მაგრამ მართო კერძო პირთა დანაშაუვის სკამზე დაბრახანება არა კმარა! საჭიროა ნათელი მოფიქრის მთელ იმ წესწყობას, რომლის მოწყალეებითაც შეიქმნა ასეთი ბოროტმოქმედება. იმავე ჟურნალის ცნობით სჩანს, ვითომც ამ ძარკვის ამბავი ბევრს საზოგადო მოღვაწეს სცოდნოდეს, მაგრამ... თურმე სულგრძელად სდუმდნენ. ეს თუ მართალია, მაშინ... განა ზნობრივი ვაკოტრება ამაზე უორს-ლა წავა?!



პის ესდევებს სულ სხვა დაანახვა ჩვენში კი ისევ გაიძახიან: სამშობლო ნაციონალისტების მოგონილიაო.

ევროპის ესდევები შემდეგ და შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მარქსის ზემოხსენებული აზრი პუბლიცისტიკა იყო და არა მეცნიერება და სამშობლოს საკითხის მედგარ რკვევას შეუღდნენ.

ამ რკვევას შედეგად ღოპყვა ბებელის სიტყვები: პეტროტიზმი ინტერნაციონალიზმს სრულებით არ ეწინააღმდეგება და ორივე ეს მცნება ერთიმეორის დამატება არისო.

ჩვენშიკი მამულიშვილობასა და ხულიგანობას ერთგვარი ფასი აქვს.

რუსეთში თუ ვისიმე შეურაცხყოფა უნდათ, ხულიგანს უძახიან; ჩვენშიკი მამულიშვილს.

სოციალდემოკრატიული მოძღვრება რომ სრულებით არ ნიშნავს სამშობლოს უარყოფას, ამის თვალსაჩინო მაგალითს დღეს გერმანია წარმოადგენს.

როდესაც გერმანელთა სამშობლო განსაღდელში ჩავარდა, მარქსის სიტყვები: პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიათო, მისმა მიმდევრებმა შემდეგი სიტყვებით შესცვალეს: გერმანიის პროლეტარებო, იარაღი აისხით თქვენ სამშობლოს დასაცავათო.

ეს ქაღაგება სამშობლოს დაცვის შესახებ იქაურ მუშა ხალხში იქდენად ძლიერია, რომ

გაზეთების ცნობით, ვიღველმმა ბრძანება გასცა: ჯარში ნუ ეწინააღმდეგებით სოციალდემოკრატიულ გამოცემათა გავრცელებასო

რჩისტაგში ს. დ. ფრაქციამ დააღსტურა ხუთმილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტი და ფრაქციის პრეზიდენტმა ჰაახემ სხვათა შორის წარმოსთქვა:


„ამ განსაღდელის დროს, როცა საკითხი ეხება სამშობლოს დაცვას და ამ მიზნით ფინანსიურ წყაროების გამონახვას, ჩვენ უსიტყვოდ სამშობლოს მხარეზე უნდა დაესღდეთო“.

ამის წინად ლიუნველთან ბრძოლაში მოჰკლეს სოციალდემოკრატიული ფრაქციის წევრი ფრანკი. ბძოლის ველიდან მონაწერი ერთ წერილში ის სხვათა შორის სწერს: ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა, სამშობლოსათვის სისხლი დავღვაროვო.

რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც ჩვენს გაზეთებში იყო, მხოლოდ აჩრდილია იმ ძლიერი ეროვნული აღფრთოვანებისა, რაც გერმანიის სოციალდემოკრატიაში გამოიწვია ამ ომმა.

გერმანიის ესდევების მაგალითი ცხადად ამტკიცებს რომ, მამულიშვილობა, სამშობლოს მიწაწყლის დაცვა უწმინდესი მოვალეობაა მუშახალხისა და ამგვარი მოქმედება არ ეწინააღმდეგება არც მუშა ხალხის მსოფლომხედველობას, არც იმის საბოლოო მიზანს.

ვ. კ. მჭედო



მგზავრი

სოფლო გძინავს... მე კი არ ვიცი სად დავყო ლამე... სად დავიგენო?... მუხონი მეკეთენ... სელა აღარ ძალიძს... გამეხმაურეთ აღამის ძენო!..

ირგვლივ სიწუნარე... სიცარიელე... საით წავიდე... სად გავითენო?... არავინა სჩანს... არავინა სჩანს... ჩავძინებიათ თქვენც სოფლის ძენო!..

ქ. მჭედო

სასაფლოოეც

(სურათი)

სალამოს ეაზი ახლოვდებოდა... მზე ჩალიდა, თემის-ხეობას ემშვიდობებოდა და რკონის მწვერვალთ ეფარებოდა. თრიალეთიდან ნატყორცნი ნიავი დაჰსისინებდა ფავნის ნანგრევეთ—სიმბოლოს და მესაიდუმლოეს მრავალ საუკუნეთა.

პატარა კორღზე ნაშენ სამეფოს დუმილისას—სასაფლოოს—ეძინა; აქ არ ისმოდა ჩივილი ცხოვრების უკმაყოფილოთა, აქ არ აღწევდა ქუთანი და სიცოლი სიცოცხლის დაუღრომელ ტალღებ-



ში მსრბოლავთა. არ ბგერდენ ზაგენი გრძობი-
სა მთქმელნი, არ სჩანდა ტანჯვა წუხილის
მგვრელი.

ორი მგზავრი სასაფლაოსკენ მოიქარო-
და; ერთსა მათგანსა ავშარით უკან მოჰყავდა
ცხენი. რა მოვიდნენ. პირ-ჯვარი გადაისახეს
და თავყენი სცეს წმიდა ნაშთებსა მუხლმოყ-
რილებმა. შეუდგე მივიდნენ მჰკრივად მყოფ
სამ სამარესთან და შეჩერდნენ.

—აი, შვილო, ხომ ჰხედავ საფლავს მა-
მიშენისას, რომელსაც უმშვენებენ მხრებს
შენი უფროსი ძმანი?...

- ვხედავ, დედილო.
- მათ შესარულეს კაცური ვალი.
- ნეტარება მათ!
- გაფიცებ, შვილო, რაც დაგავალე,
რომ აღასრულო.
- ვფიცავ!
- თან გამოგყვება ლოცვა ჩემი და
კურთხევა აქ განსვენებულთა. შენ დაამტკი-
ცე, ჩემო იმედო, რომ შენში—ვით უფროს
ძმათა ძარღვებში—სჩქედს სისხლი მაშინვე-
ნისა.

—ნათლით მოსილო...

— რაც უნდა ცხოვრებით უკმაყოფი-
ლო იყო შვილო, და აწმყო ღროება შენ
სურვილთ არ ეთანხმებოდეს, მაინც დაეძვე
მტლად ქვეყნის გასაქირს—ვით წინაპრები—
თუ-კი უშველი ამით ჩაგრულებს.

- ოჰ, დედა-ჩემო!..
- მტერთ შეუტეი.
- დე, აღვისრულდეს სურვილი მგე.
- მოდი შვილო და ჩამეკარ გულში...

ამ სიტყვებთან ერთად ჩაიხუტა უბეში თავის
მასაზრდოვებელი, ერთად-ერთი შვილი და
დაუკონა თვალები. შვილიც თავის მხრით
ეამბორა დედის ძუძუებს და დაიჩოქა. მშო-
ბელმა ერთი ხელი დაადო თავზე და მეორე
აღიღო მალღა:

— ჰოი, მარიამ, მშობელი დეფისავ,
წმიდა ესტატე ერთაწმინდისა კვართა უფლი-
სავ წმიდა გიორგივ ზეგარდისავ თქვენ შეეწიეთ
ჩემსა ბიჭიკოს. შენ შემოქმედო, მალალო
დმერთო. გადაფარე მფარველი კალთა ფავ-
ნისის ძალო გაჰყე თან მხსნელად; და მიეც

შეგბა შვილს იმ ტანჯულ ერის, რომელმაც
მრავალჯერ ასახელა თვისი პაწია სამშობლო

— ამინ!...—დაუმატა შვილმა და წამოდ-
გა, უკანასკნელად გადაეხვია დედას, ნაღ-
ლიანად გაჰხედა აშურიანის ველს, გაეაზე ხე-
ლი გადაუსვა თავის კობტას და შეჯდა.

—თუ შეგარცხენო, შხამად გარდმე-
ქცეს ამავი შენი!...—ეს-ღა უთხრა დედას, შე-
მოჰკრა მითრახი ცხენს და გაჰქუსლა იქით,
საითაც იწვევდა მოვალეობა.

დედა-კი იღდა მარტოდ მარტო და გაჰ-
ყურებდა შვილს მიშავალს.

— წავიდა, მაგრამ დაბრუნდება?...—ესა
სთქვა და მოხუც სახეზე ცრემლებმა დაუწყეს
დენა. დაიჩოქა და აღაპრო ხელნი სალოცა-
ვთა

—ნაუ!.. ნაუ!...—გაისმა პატარა ზარის
ხმა მიცვალებულთა სავანეთზედა და ირგვლივ
წილს მიმოფენია

რეკავდა დედა, იხმობდა მზაძველთ და
იხილიდა უკანასკნელ ვალს...

ს. ერთაწმინდელი



* *
(ნეკრასოვისა)

რას ვაისქენ ომის აშავს საზარელს
და ვთვლი შეომრებს სხადასხვად მკვლარს,
მე არ ვიბრალდებ თვით მოკლულ გმირსა,
არც ომის ცოდლს და არც მკვთაბანს.
ვიცი, რომ ცოფი ნუგეშს მიიადებს,
და მკვთაბანსაც, რაც სშირად ზღება,
თვას მკვთაბანა, ძმად შენაფიცო,
საფლავს გარეშე დააწვიწვიდა.
განსა სადღაც არს ერთი არსება:
მას კი საშუამოდ ენახსოვრება.
დაიქნით დასუსე საქმეთა შირის,
შირის საბაღწას და ფუჰ ცხოვრების,
ვიხილე ერთა წრფელი ცრემლები
ცრემლანა სანრადო მშობელ დედების.
ვერ დაივიწყენ ისინი თვისი შვილთ,
ბრძოლისა ველზე გულგამირულებს,
ისე, ვით ძქვნა ვერ ასწვენ მადლა
ტოტებსა თვისსა ძირს დაღუნულებს.


ილ. ჩხერიმელისპირელი



ძველებსაცან ახლები წარმოიშვნენ. არ იქნება ურიგო გამოცემულემა მამების ნაწერები გამო- სტენ და შეიღებს გაცნობ, რანი იფენენ მისნი მამანი, რას ელტოდნენ და რა გააკეთეს შემ- დეგი თაბისათვის. ქართულ წიგნებს მკითხვე- ლი ჭყამს, სავსია ან არის მესამოდვე წლები მოდღაწეთა გამოცემისა, ხარჯს აუნახდაურებს. ამ მხრივ ბედნიერნი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ანტონ ფერტუაძე. ზირული არის თითქმის ყველა თხზულებანი წიგნაკებად არის გამოცემული, ხოლო მესამეს—ანტონს ხომ სხე- ციადურთ გამოცემული ჭყამს—საქარა ჭავჭავა- ძე ელიან გამოცემას. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ჰ. შუმიკაძე.

სამწუხაროა ასეთი გულგრილობა ჩვენ დაუღალავ და უნეტარო მოდღაწეთაღმა.

ს. ნიკოლაძე



უკანასკნელი სალაში!.

ლაშა. ლამის მნათობს ვერცხლის წყლით დაუფარავს უსულო გვაგებით მოფენილი ბრძოლის ველი; მისი მკრთალი სხივები თა- ნაგრძობით დაჰკონებია მიცვალებულთა გა- ყინულ სახეებს, თითქოს უნდა გადასცეს სამშობლოდან გამოგზავნილი უკანასკნელი სალაში.

ერთად-ერთი ქირისუფალი მთიდან მო- ნაბერი შემოდგომის ცივი ნიავი გულის საკ- ლავად დაჰქეითინებს ოხერს მკვდრებს. მის ქეითინს უერთდება გულწოასაკლავი გმინვა ახალგაზდა ჯარის კაცისა, რომელიც ღონე- მიხილი, მთლად გაფითრებული მიჰსვენებია დობადი ბურქს და მარტად მარტო, სამშობ- ლოდან შორს გატყორცნილი ებრძვის ულ- მობელს სიკვდილს.

განიერ მკერდიდან შადრევანსავით გად- მოსჩქეფს აღის ფერი სისხლი. შორს ცის სივრცეში ერთს წერტილს მისჩერებია მისი მიმქრალი თვალები; სასიკვდილოდ გაღურ- ჯებული ტურები კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ იმო- რებენ უკანასკნელ სიტყვებს:

„ჩემო ტურფავ... ჩემო .. მშენიერო სამ- შობლოვ... როგორი .. საყვარელი ხარ შენ

ახლა ჩემთვის... ოხ, როგორ მსურს, რომ... უკანასკნელი ძაფი ჩემის სიტყვებისა... შენს... მშობლიურს გულ-მკერდზე გაწვეტილიყო!.. ვკვდები შენგნით შორს... შორს უცხო მი- წა-წყალებ... მტრის ტყვიით განგმირული... სიკვდილთან... მეტრძოლი... შორით გიძღვნე ჩემს უკანასკნელს სალამს...

„ოხ! რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს... თუნდ ერთი წუთით... თვალი მოვავლო ჩემს ტურფა სამშობლოს... ვნახო ის, ვნახო ჩე- მი... ძვირფასი მშობელი...“

„მთვარევ!.. კეთილო მთვარევ!.. შენ ხომ ყველგან ხარ... შენ ხომ ყველას ხედავ... მითხარ... იქნებ ამ წუთში შენ ჰხედავ ჩემსა? შენ ხომ იცნობ!.. ხომ ბევრჯელ ჰყოფილხარ მოწამე ჩემი ნეტარი წუთებისა... აი... ახლა უკანასკნელად მოგჩერებიან ჩემი მიმქრალი თვალები.. შემობრალე მომაკვდა- ვი... მითხარ... ხომ ვახსომვარ?... ხომ წუხს ჩემს დაშორებას?...“

მთვარემ საშინელი სიბრალული იგრძნო მომაკვდავისადმი, უნდოდა რაიმე სა- ნუგეშო ეთქვა, მაგრამ მოაგონდა წუთის წინ ნანახი სურათი და სანუგეშო სიტყვები ტუმჩებზე შეეყინა.

—„გთ, ვინ ენდოს ქალის საყვარულს? ვხედავ, მე მას ახლაც ვხედავ, მაგრამ ის ამ სანეტარო წუთებს ახლა სხვასთან განიცდის“,— გაიფიქრა მთვარემ და სიბრალულით მიამ- ტერდა მომაკვდავის გაფითრებულს, მაგრამ მიმზიდველ სახეს.

„მთვარევ!..--განაგრძობდა მომაკვდავი: იქნებ ამ წუთში ხედავ ჩემს სახლ-კარს?... მწუანე ფოთლებით... შემოსილს აივანს... სადაც მე ისე მიყვარდა ჯდომა?... ხომ არ ხედავ... ჩემს საყვარელს მშობელს? მითხარ... ხომ არ გრძნობს ის, რომ აი ამ წუთში... თვალგაღუწვდნენ, უსულო გვაგებით მო- ფენილ, ტრიალ მინდორზე.. სხვა ოხერს მკვდართა შორის ითვლება... სიტყვების უკანასკნელი წუთებიც მისი... ერთად ერთი შეიკლისა?“

—„როგორ არა, როგორ არა, ქაბუკო! მე შენს სახლ-კარს, დედაშენს ყოველ საღა- მოს ვხედავ. ის მუდამ მუხლმოდრეკილი ხა- ტის წინ დგას. ცრემლმა დაღარა მისი მო-



ზ. დ. ბაქრაძე

ცნობილ ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის შვილი, ვაკაცული ქვეის გამო ქ. ლავის ალბის დროს. მთავარ-სარდლის მიერ პოლკოვნიკის ჩინითა და ოქროს იარაღით იქმნა დაჯილდოებული.

ხუცი სახე, მას პირზე მარტო შენი სახელი აკრია. ყოველი წუთი მისი სიკოცხლისა მთლად შენზე ფიქრით არის მოკული.

— „ოხ, რა კეთილი ხარ მთვარევე! მითხარ „ის“ ის არ გინახავს ამ ცოტა ხანში? ”

— არა, არ მინახავს. რაც შენ დაგმორადა, მე მას ველარსად ვხედავ, — იცრუვა მოვარემ. წუთს პირი აარიდა საზარელ სურათს და ცაზე გაწოლილ შავ ღრუბელს შეაფარა თავი.

ჩამოხნულა. გლოვის ელფერი გადაეკრა არე-მარეს. მახლობელ ტყეებიდან მოისმა მშიერ ნადირთა ღმუილი. აღსდგა ნადირთა სამეფო და გამოვიდა ბრძოლის ველზე ნადავლის საშოვნელად.

მომაკვდავი კვლავ სიკვდილს ებრძოდა. ოღნავ და იძროდნენ მისი გაყინული ტუჩები:

— ეხ, ვკვდე... ბი... მშვიდობით... ნორჩო... სიკოც... ხლევ... ვინ არის... ვინ... ვინ გადასცემს სამშობლოს ჩემს... უკანასკნელ... სალამს?... ვინ ეტყვის... ჩემებს, რომ... მე ისინი... უკანასკნელ სიკოცხლს... წუთამდი... მახსომდნენ!

— მე, ქაბუკო, მე! — მიუსისინა წიგნი მა, მოუალერსა, გადუვარცხნა აწეწილი ქოჩორი, აი: ამ წუთას მე შენს სამშობლოში გაგჩნდები. მიუტან სამშობლოს, დედას, მოძმეს, სატრფოს შენს უკანასკნელს სალამს.

— „რა კე... თი... ლი... ხარ... ნი... ა... გო რა კე... თი... ლ... ი...“ სიტყვები ტუჩებზე შეეყინა. გაისმა უკანასკნელი გმინვა და შესწყდა ნორჩი გულის უკანასკნელი ძგერა. ნიავი მოწიწებით ეამბორა გაყინულს გვამს და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა ქაბუკის სამშობლოსაკენ. გასრილდა მკვდრებით მოფენილ ბრძოლის ველზე, გადიარა მთაბარი და წუთს გაჩნდა მის სამშობლოში. ელვის სისწრაფით მოიბრინა მისი სამშობლოს ზურმუხტი ველები ესტუმრა ცამდის ატყორცნილს ბუზებრავ მთებს, დარაჯთ მისი საყვარელი სამშობლოსისა, ყველას მიუბრუნდა, ყველას გადასცა მომაკვდავის უკანასკნელი სალამი ესტუმრა მის სახლსაც, შესისინდა ოთახშიაც, მოღლილს, მოქანცულს მის დედას მხოლოდ ახლა ჩასძინებოდა, და ცრემლით დაღარულს სახეზე რაღაც ბედნიერი ღიმილი უთამაშებდა: ეს იხმრა, ვითომც მისი ერთადერთი შვილი ომიდან უკვე დაბრუნებულიყო და დედა მის გვერდით ბედნიერის წუთებით სტყებოდა.

სევდია



გიორგი პავლეს-ძე არჯევანიძე
(ხელში დაჭრილი პრუსიის ს.ხლვარზე)



საჭიროა საყოველთაო დახმარება



ცეცხლმა მოსპო თბილისში ქართველ ხალხს თავ-შესაფარი, მოსპო და გაანადგურა ხელოვნების წმიდა ტაძარი, სკოლა ცხოვრებისა, მაგრამ გლოვა არა გემართებს დღეს ჩვენს დანაკლისს, კრემლის ღვრით და მარტო გაზეთებში წერით—აი, დავიღუპეთ, დავიქეციეთ, ვერ შევავსებთ. ახლა საქმეა საჭირო და არა გოდება. რაც მოხდა—მოხდა. სხვა უბედურებასთან, ესეც ეწვია ისედაც მრავალ ქირანახულ ჩვენს ხალხს, მაგრამ იმან არ უნდა შეგვაშინოს თეატრი დაზღვლოვნება ყველასათვის საჭიროა განურჩევლად კლასობრივი განსხვავებისა. აქედან ცხადია, რომ ყველა ყურადღებით უნდა მოვეუყრათ ქართულ თეატრის აღდგენას და არსებულზე უკეთესი ავაშენოთ.

ამას მოითხოვს უმთავრესად დემოკრატიის ინტერესები. ქართველმა დემოკრატებმა სხვა კლასებთან ერთად, ბეჯითად უნდა იზ-

დამწვარი ქართული თეატრის საზამთრო დარბაზი
(ვადაღებული სასაფხულო თეატრიდან).

კ ი თ ხ ვ ე ზ ი

რა ვარ, ვინ ვარ მე, ბუნებავ? საით მივალ, სად მოველი?
რას მიზადებს, რას სიკვდილი? ან სიცოცხლით რას მოველი?
თუმცა სულით უკვდავება მე მიგვრძნია არ ასჯერა,
მაგრამ, მინც ცივ გონებას ეს არა სწამს, არა სჯერა.
და ჰა ეხლაც მესმის ხოლმე დამცინავი მისი ხმები:
„შენ მტვერი ხარ, ვით ფოთოლი შემოდგომის ისე ჰხმები.“
ბუნებაო! ვინ ვარ? რა ვარ? საით მივალ, სად მოველი?
რას მიზადებს მე სიცოცხლე, ან სიკვდილით რას მოველი?

მთის ნიავი



თავ. დავით ზაქ. ჭავჭავაძე
პროფესორი სახელ მოხეყილი



რუნებს თავის შეძლებისა და მიხედვით, დახმება გაუწიოს ქართული თეატრის აშენებას. შეერთებულის ძალით უნდა აღსდგეს იგი, რაც 25 ენკენისთვის დაუნდობელმა ცეცხლმა დაგვინთქა.

თეატრის აშენებასა და მის ყოველმხრივ შემკობას, სულ რომ ცოტათივე, 500,000 მან. მიზცი დასჭირდება. როგორც ჰხედავთ, კარგა დიდი თანხა ჩვენისთანა ბედში მყოფ ხალხისათვის, მაგრამ ამან გული არ უნდა გავგიტეხოს და საერთო ძალღონით ვეცადოთ მის შეკრებას რომ მომავალ ქართულ ეროვნულ თეატრის აშენებაში ყველას - მთელ ქართველ ხალხს გვედოს წილი. თქმა არ უნდა, თეატრის ასაშენებლად შემდგარი კომიტეტი ბეჯითად შეუდგება ფულის შეგროვებას: მისი მოქმედება მარტო თბილისით არ შემოიფარგლება და მთელი საქართველოს დაბა-სოფლებშიც გადიტანს მოქმედების ასპარეზს. ამიტომ საჭიროა პროვინციის საზოგადო-საკულტურო დაწესებულებათა და სხ. მოღვაწეებმა შესაფერი კომ-სიები ამოიჩინონ, გამოიჩინონ ფხა და მთავარ კომიტეტის ჩვენებით მხედ იმოქმედონ ფულის შესაკრებად, როგორც ქართველ საზოგადოებაში, აგრედვე სხვა ერებშიაც, ვისაც ოღნავ მაინც ინტერესებს კულტურულ დაწესებულებების აღდგენა. საქმეს ჩქარა უნდა შეუდგეთ, სანამ ხალხს ახსოვს და თვალწინ უდგას ცეცხლის ალში გახვეული და ჩანთქმული თვისი საყვარელი წმიდა ტაძარი.

6. ჯიხაიშელი

ბ-ნი სიტყვა სწერს (სახ. ფურ. №101), რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენთვის ქართულ თეატრს, რომ ქართველები უთეატროდ ვერ ვიარსებებთ, როგორც ერი, რომ დღეს ეს თეატრი აღარ არის, მაგრამ უნდა იქმნეს, აღდგეს უფრო გამშენიერებელი, კონტა და ლამაზი.

ამიტომ - „მთელი ერთი, როგორც ერთი კაცი, ისე უნდა შეერთდეს ამ საერთო საქმისათვის, აქ არ უნდა იყოს ჩრავითარი მიმართულება, წოდება და კლასი. თბაღისში ქართული ეროვნული თეატრის აშენება - ეს ქართული ხალხის კულტურის მომავალია, ესა ქართული ერის კულტურული გამაჯნება და გაძლიერება, და ვისაც შეგებულა აქვს ამ კულტურის მხაშე-

ნელობა, ყველა ერთის სულითა და გულით უნდა შეიკრიბოს ამ დროშის გაწევა, რომელსაც წერია: „ქართველა ერის თეატრი“!

დროს ნუ დაეკარგვით, ვისარგებლოთ უფელი წუთი და ნუ ვიტყვით, მონღა არა გვაქვს ან ისედაც შეუწროვებული ვართო. ეს არ ითქმის, როცა საქმე ქართული ერის ბედსა და მომავალს შეეხება. ჩვენ გვინდა სიცოცხლე, გვინდა კულტურა, გვინდა ქართული თეატრი!..

ჩენი დამსახურებული მოღვაწე-მწიგნობარი ქალი, ქ-ნი ანასტასია წერეთლისა სწერს: „მივეშველოთ ქართულ თეატრს!“ არ თუ საქართველოში, მთრეულ ქვეყანებშიც მცხოვრებმა ქართველებმა შეიტყო ჩვენა უგრძელა თავზარდაძმეში უბედურება: ცეცხლმა იმსხვერვლა ქართული თეატრი თავისი სარჩო-საბაგებლოთ.

უნდა გვიჩინეს ქართული თეატრი! უნდა შევიანჩწუნოთ არტისტები. ისიც კარგად ვიცით ყველაში, რომ დადაი საქმის გაკეთება ერთი ორი დღის საქმე არ არის. ამიტომ ჩვენ უნდა უხალე დაუდგეთ მოქმედების გზას, სანამ სამსაქმე გვადგეს წინ: 1) დრამატული ბიბლიოთეკის აღდგენა; 2) დრამატების მოწოდება და თეატრის ტრანსამისის მომზადება; ამ სამსაქმეს სწრაფად უნდა შეუდგეთ, რომ ამითა სძირკველი ჩვეულებით ქართულ მომავალ თეატრს. უნდა დაუფანებდეთ დაარსდეს სამი კომისია. საქმის შესაფერად უსათუოდ ყველანი გვიშველიან, ვისც რა შეუძლიან; ბიბლიოთეკის მოწესრიგებაში, მხატვრობის მხრე და სათეატრო ტრანსამისის მომზადებაში. ჩვენს ქალებს შეუძლიან ხალე შეუდგნენ ამ უჩინა კნელ საქმეს. უმეტეს ნაწალს მათგანს მოელოვებით ხალში, ან ნაცნობეში თეატრისათვის გამოსადგეი მასდა ამ მსოდ მტონა ჩვენი ქალები არც ჯათგან დასოგავენ და არც მდარე შემოწირულების შეგროვებას.

არ. ჯ - შვილი - არ გვინდა შეუერთდეთ, ვერ შეუერთდებით იმ ხალხს, რომ თეატრს ღად გვექნება. გულ-გრილად ვერ ვუტყობთ ამ ნანგრევებს, რათეც უნდა დაგვაუდეს, კვალე უნდა აღსდგეს თეატრი; დაე, საერთო უბედურებამ, საერთო მწუსრებამ კვალე გავადვიდოს საერთო სურვილი თეატრის აღდგენისას! სულ თითო კანკალით შევაკროვოთ ფული,



შის“ სეღანია. ამის აწეობაში ზირველი ჯიღ-
ლო მიიღო ანისიმოვმა, მეორე — მიჰაევმა.

სრულიად რუსეთის ზირველ შეჯიბრებაში
მონაწილეობის მიმდებთ სურვილი გამოსთქვეს,
რამ უოველ წელიწადს იმართებოდაეს ასეთი
შეჯიბრება. 1896 წლის 6 მაისს ზეტროკრადის
ბეჭდვითი სკოლაში კვლავ გამართა სრულიად
რუსეთის ასოთამწეობის მეორე შეჯიბრება.
ზირველი შეჯიბრების მსჯავსად გაიღვ ორ ნა-
წილად გაეო: 1) სისწრაფთა აწეობა, 2) წვრი-
ლი საქმეები. ორივეს ჯიღლო ერთნაირი ეოა.
ჯიღლო სამი ეოა. ზირველი 35 მ., მეორე—25,
მესამე—15 მ. ზირველი ჯიღლო მიიღო ასოთ-
ამწეობმა კონსტანტინოვმა, მეორე ვასილეოვმა,
მესამე — გალქტიონოვმა.

ამს გარდა ხელოვნების მხრივ დამაზად
აწეობაში და დრამატკულ შედგომების სიმცა-
რეში დიხლომი მიიღეს შემდეგმა ასოთამწეო-
ბებმა: კაეოვმა, ვინოგრადოვმა, ნიკოლაეოვმა და
ბრანტინამ .

წორილი საქმეების შეჯიბრებაში, რომელ-
შიაც 7 კაცი აღებდა მონაწილეობას, უკვლახე
უკეთეს მომუშავედ ცნობილი იქმნა ანისიმოვი*)
და ზირველი ჯიღლოდ მიიღო, უოსოვმა — მეორე
ჯიღლო, ზიშოაოვმა — მესამე.

მესამე შეჯიბრება სემიხსენებულსავე
სკოლაში მოხდა 1897 წ 8 სექტემბერს, იმავე
ზირობითა და წესრიგით, როგორც წინ წლებში.
მონაწილეობის დებულობაც 20 კაცი ჯიღლო
მიიღეს შემდეგმა ასოთამწეობებმა: ბრანტინ-
ი — ზირველი, გალქტიონოვმა — მეორე, ფე-
დოროვმა — მესამე და ოთხმაც ქების ფურ-
ცელი. ხლო წორილ საქმეებში ზირველი ჯიღლო
ანისიმოვმა, მეორე — ზეტროვმა, მესამე — დრ-
ნიშნიკოვმა; ლუკასეოვმა და მიჰაევმა ქების
ფურცლები მიიღეს.

შემდეგ ცხელო რამდენიმე წელმა, რომ
ადრ მომხდრდა შეჯიბრება. ხლო 1901 წ.
14 მარტს სემიხსენებულსავე სკოლის შენობაში,
მოხდა მეოთხე სრულიად რუსეთის ბეჭდვითი
ხელოვნების შეჯიბრება.

1902 წ 2 მაისს მოსკოვში ბეჭდვითი საქ-
მის მოდგაწათა სწავლადობის მოსკოვის გან-

უოფილებამ გამართა ზირველი ასოთამწეობ-
თა შეჯიბრება. ზეტროკრადში გამარ იულის
მინდევით, ორ ნაწილად გაეო. ზარობები და
წეს-რიგიც იშვვარავე ეოა. მონაწილეობას
დებულობდა 14 ზირი, დრო განსაზღვრილი
ეოა 1 1/2 საათი. შედეგი ამ გვარბ ეოა:

ჯიღლოდ მიიღე- ბთა გვარებია.	აწეობილი ასო- ები	შეტლიმები	ნ ი შ ნ ე ბ ი			ც ლ/ წ/ კ ჯ
			სულწენ- ბაში	სისწრაფე- ში	ლოკამბე- კაში	
კაზიუტინმა . .	3,744	19	1	4	2	I
ვლადიმიროვმა . .	3,973	33	3	5	1	II
კუზნიჩმა . . .	3,805	31	5	4	3	III
მატიუშინმა . . .	3,661	27	5	3	1	IV

წორილ საქმეებში ზირველი ჯიღლო მიიღო
ტკახევა (კუზნერევის სტამბიდან), მეორე
მაღენკინმა (სიტინას სტამბიდან), მესამე — ზაშ-
კოვმა (ბასნერის სტამბიდან).

ამ გვარი შეჯიბრებანი რომ ჩვენმაც ხე-
ბოდაეს, დიდად სასარგებლო იქნებოდა ასოთ-
ამწეობებისათვის, რადგან ნათლად გამოხდე-
ბოდა, ვინ როგორი დახელოვნებული იქნებოდა
ამ დარეში. აგრეთვე შეჯიბრების წვადობით
შემაქ მდებობად, ზირველი ჯიღლო მიიღო
და ზირველი ადგი ზიც დაეკარა. ამით, რდა
თქმა უნდა, დიდად ხელი შეეწეობოდა ბეჭდვითი
საქმის განვითარებას.

ივ. მჭედლიშვილი

ქართული სახიოჯა

„სახიოჯალი“ — „პარტისტ. თეატრში“ წარმო-
დენილი იქმნა 2 ლეინობისთვის, აღ. წუწუნავს რევი-
სორობით. პიესა მხატვრულად იყო დადგმული, — კი-
დეე ერთხელ დამტკიცდა ბ-ნ წუწუნავს სა მხატვ-
რო გემოვნების სიძლიერე, მაგრამ წარმოდგენას აკლ-
და ის მთლიანობა, რითაც აღინიშნა ამ პიესის დაღ-
მა ქართულ თეატრში. საკუთარი კერის მოშლა უკვე
დაეტყო. ახალგაზდა მსახიობნი ერთი-მეორეს სჯობდენ
როლის შეგნებით, ცოდნითა და აღსრულებით.

„სიმხიბრევა“, ნ. შიუჯაშვილისა, წარმო-
დენილ იქმნა 3 ლეინობისთვის „პარტისტ. სახ. თეატრ-
ში.“ წარმოდგენას ხელმძღვანელის ვამოკლილი
ხელი ენეოდა, — ჩანს ბ. მ. ქორელს სარეისსორო

*) ეს ის ანისიმოვი, რომელმაც გერმანულიდან
სთარგმნა და გამოსკა რუსულად „ასოთ-ამწეობითი
სახელომდგომარეობა“. რაშიაც ჩართულია მრავალი
სურათი და სანიშნოვ ცხრილები.



უნარი და გემოვნებაც შესწევს, თითოეულად ნაყისრი როლები ხელოვნურად განახსიერეს ეკ. მესხმა, ნ. ჩხეიძემ, ი. ზარდალიშვილმა და ალ. იმედაშვილმა.

ორივე ამ წარმოდგენის მიზანი იყო მოულოდნელად დაზარალებულ დრამ. საზოგად. გამგეობის სალაროს აღდგენა, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ, რომელსაც პრეტელ-პრეტელი სიტყვების ხმარება და ნიანგის ცრემლთა ფრქვევა უფრო შესძლებია, ვერ გამოიჩინა საჭირო თვითშეგნება მოვალეობისადმი. ხალხი ნაკლებად დაესწრო, განსაკუთრებით პირველ წარმოდგენას.

პ-ნი

სახალხო სხლნი. „ცემკრამის ბარამე“, 1 ოქტომბერს კ. შათირიშვილის რეჟისორობით.

ფაბულა პიესისა ნაწინობა და ახლობელი. ის ცოცხალი სურათთა ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული და სწორედ სახალხო სცენისათვის შეძენილი: თქვენ ხედავთ არისტოკრატიულ ოჯახს ორი

შვილით: ელენითა და იურით. ოჯახი მდიდრულად ცხოვრობს და საესეა მოსამსახურე გოგო-ბიჭებით, რომელთა ცხოვრება აუტანელია ყოვლის მხრივ, როგორც ყველა ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრება ყველა იმეორე ოჯახებში: **ცემკრამის ბარამე**. მათთვის არც ძილი თავის დროზე, არც მოსვენება, არც ადამიანური მოპყრობა. „ისე გვეპყრობიან, როგორც ქვაბებს სამზარეულოში; ქვაბები და ჩვენ თანაბარი **სახ-მნი** ვართ“.

არის იქ ახალგაზდა მსახური ქალი ნალია, ლამაზი, რომელსაც ახალგაზდა ბატონი, ქარაფშუტელი მსახურიდან მოკლად წუთებში სიყვარულს ეფიცება და გაუპატიურებულს პოლიას ქუჩაში ისვრის, ქუჩისქალად ხდის, ცხოვრების გარეშე სტოვებს. არის იქ მერე მსახური ქალი, მეეტლის ცოლი დუნია, რომელსაც არ აძლევენ ნებას ხანდისხან ქმარი ინახულოს, და გახრწნილ ქალბატონების ნაყოფებს „შეყვარების“ ენის წაპყიდვითა, რომელსაც იქვე მოსამსახურე გახრწნილ, ლაზღანდარა ლაქია იაკობასთან ილავს. ქმარი ნიყოფიერ შემოესწრება მათ სააღერსო სკენას. მაგრამ არაფერს ამბობს, რადგან „რა დუნიაშს ბრალია ლაღატი, ის აიფუტლებს ბატონებმა, გახრწნეს მისი ხასიათი, პატროსანი მიმართულება და დააშორებს ქმარს ისე, რომ ერთმანეთს არც კი ანახვებდნენ“.

და დუნიაშიც შებრალებას და მოტყვევებს სთხოვს კეთილ და მოშაბამულ ქმარს, და სოფელში მიჰყვება. არის იქ მზარეული ოსიპი, რომელიც 25 წელიწადია ემსახურება მათ, შრომისგან ჯანი გამოსკლია, მუდამ ცეცხლის ცქერით თვალთ სინათლე აღარა აქვს. თვითონ მოხუცებულია და ამ დროს სრულიად უშიზეზოდ, კაპრიზით, მას სამსახურიდან ითხოვენ. არიან ბატონები, განცხრობაში ცხოვრობენ, გაუპატიურებული მსახური მკლავის შერიგებას ფულით ლამობენ და საცოლოდ მილიონერ ქალებს ეტანებიან. აქაც ფლიდობენ, სიყვარულზე ეფიცებიან.

ერთი სიტყვით, პიესა საესეა დრამატული მომენტებით, ცოცხალი, მხატვრული, ის ნამდვილი სოციალური დრამაა, და ყოჩად წრის გამგეობა, რომ

სახალხო სცენისათვის მას ჯერ-ხნობით შესაფერისი რეპერტუარი შეუდგენია.

პიესა რუსულიდან თარგმნილი არის და ეტყობა, უცხო ფსიხოლოგიას ადვილად ვერ ურიგდებიან ჩვენი სცენის მოყვარენი. ამ მხრივ შესრულებაში მრავალი ნაკლი იყო.

პეტრე ტარტიკეის როლში ბ. ხახანაშვილი მეტად მკრალაი იყო. ის სრულიად არ წააგავდა დიდი ოჯახის პატრონს, განათლებულს, ლად არისტოკრატს, და უფრო გახანაულებულ ვაჟის მოგავგანებდათ. საზოგადოთ საჭიროა მან ყურადღება მიექციოს თავის თავს და ყველა როლი ერთგვარად არ აასრულოს ხოლმე.

არა უშვავდა ელენეს (თ. ყიფშიძე), მხოლოდ აკლდა მიხვრა-მოხვრა, დარბაისლობა. მიხვრა-მოხვრაში ძალიან სუსტობდა საერთოდ რიგიანი ს. პუპანოვი (იური). საჭიროა შეიმჩნიოს, რომ იმას, რასაც რუსები ეტყვიან „развращенность“ არავინათარი კავშირი არ აქვს არისტოკრატობიანს. რიგიანად თამაშობდა ქ. ე. ჩიქოვანი (ნატალია სტაროდუმეცისა), მაგრამ გამოთქმა მეტად გაურკვეველი ჰქონდა, თითქოს სურდო სტიროსო. კარგები იქნებოდნენ დუნია და იაკობი (ქ. ელენე, და ბ. ბაქრაძე), მაგრამ ძლიერ ამლაშებდნენ შარკით, რაც აქარაწყობდა მათ მდგომარეობას და განწყობილების დრამატისმს.

მწვენიერნი იყვნენ: ქ. ტანელი (პოლია), რომლის სერიოზული განცდა და შრფული წუხილი ხბობდა და მსწრეთ. ყლაპავდა მხოლოდ ხოვ სიტყვას, მაგრამ ამითა იცვება—სწრფეველს აძლიერებდა. ბ. გოკირიძე (ოსიპი), რომელიც გამოცდილი მსახიობი არის და წყისრი როლებში ყოველთვის პირნათელი, ის ნამდვილი არტისტი.

კარგი, როგორც ყოველთვის, მგრამობიერი იყო ბ. მეტრეველი (სერგეევი). კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა აგრედვე ს. ტარაუშვილი (მეეტლე), მაგრამ ის მეტად არისტოკრატი იყო მეეტლესთვის. იქ სინახის მაივრ მეტი სიტლანქე იყო საჭირო.

საჭიროა რეჟისორმა ყურადღება მიექციოს წყროლმნებს. მაგ. ჩაცმულობას, მდგომარეობას სცენაზე, მიხვრა-მოხვრას, მეტადრე ენას. სცენა ერთადერთი ადგილია, სადაც ქართული ენა შეუბოძავია და იქ მაინც იყოს ის სასიამოვნო ვასაგანი.

საჭიროა გამგეობამ ყურადღება მიექციოს წყროგის და ლაზღანდარები გააძივოს.

წარმოდგენამ კარვად ჩაიარა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. დამსწრენი, განსაკუთრებით ქანდარზე მსხდომნი, შოგა და შოგ არღევედნ წყსრებს და წარმოდგენის შთაბეჭდილებას აფუტებდნენ. საჭიროა, თვით ხალხმვე გამოიჩინოს მეტი პატივისცემა საზოგადოებისადმი და უწყსრობა მისპოს, თუ ამის მისპობა წრის გამგეობისათვის ძნელია.

მეგობარი

„იორიოს ასული“, ტრადეკაა 3 მოქ. დ, ანუხტისია, თარგ. იოსებ იმედაშვილისა, წარმოდგენილ ბაქმას „არტ. სახ. თეატრში“ ოთხშა-



ბათს, 8 დეინობისთვის. ზაქსა დადგმის მხრით შეტად რთუდა, მიუხედავად ამისა მაინც იგი მსატრუდად იქმნა წარმადგენილი. მონაწილეთა შორის განსაკუთრებული სელფინებით განსასიერეს ნაკისრ რაღები ეფ. მესხმა (კანდა დეა ჯეანეს), ნინო ჩხეიძემ (მილა დიკოდრა), ალ. იმედაშვილმა (ადაკი), ალ. უსაბიგეშვილმა (ლანარო), კორნეილმა (კოსია) სარულმა (ზირველი მოშველი), გ. ალუ-დაშვილმა (მოშველი) და სხ. ზაქსის დადგმის სიხერე ეტეობდა.

ბაქოს დ. დანი, კვირას, 5 ოქტომბერს, წარმოადგინეს „ჩერტი“—ფულდისა, თარგმანი გ. გუნიასი. ეს პიესა პირველთა დიდმა ბაქოს სცენაზე. პიესა დაწერილია მხატვრულად და მაყურებლებზე შთაბეჭდილებას სტოვებს. ბაქოს დამსა კარვად წარ-მოადგინა ეს პიესა. მოთამაშეთა შორის დადიანისა (იუსტუსი გამბრონიტი) და ელო ანდრონიკაშვილის გარ-და (დარის ვინგარტი), აღსანიშნავია ქანი წულუკიძის (შერნის ქერიტი), რომელმაც თითქმის უნაკლებოდ დაგვიხატა ცივირი დედაკაცი და გადმოგვცა მისი სუ-ლის კვეთბანი. ეს სცენის მოყვარე ქალი მხოლოდ შარხან გამოვიდა ბაქოს სცენაზე და თვის დაკვირვებულ თამაშით გამოიტოვა მსახიობს ედარება. დარბა-ზი სავსე იყო ხალხით.

ქართულ თეატრის საშენაგლად შესწირეს:

პარესა და გიგო ქურდიანებმა—ათი თუმანი (100 მ.)
ეჭ. გ. ნათიშვილმა—25 მ.
ვასილ კირვალაძემ (ბაქოდაწ) —10 მან.
 ამასთანავე სევისმოწერა გამართა ფულის შესაკრავებლად.
ანანა და ივანე ზედგინიძეებმა (სოფ კამარ-ლიდან) ამ თავით—10 მან., ხოლო დღეიდან ერთი წლის განმავლობაში თვეში ათი მანათა, სულ ცამეტი თუმანი (130 მ.)
გიორგი და მიხეილ საბახტარიშვილე-ბმა (ფოთიდან)—ხუთმეტი თუმანის სეტეის მასალა.
ჯარში გაწვეულმა ქართველ ჯარის კაცებმა ვ. თავბურძემ, მ. რუსიძემ, კ. ჩხენ-კელმა, მ. რატანმა, გ. ტარძემ და ა. კოს-რეიძემ გადასწვიტეს, სანამ სხალში დაბრუნ-ებთან, უოველ თვიურად გადასდონ თავისი ჭამაგორის შექმსედა ნაწილი. 3 მ. 97 კ. უკვე გამოგზავნიეს,
წვრილწვრილად— ზეტრიაშვილმა—3 მ. ივ. ეს. შკელაშვილმა—3 მ., ნინო და დარეო ნიკიტინებმა—2 მ., ალ. თევ. ბუღან-სკიმ—1 მ., გრ. გოლოგენსკიმ—20 კ., გრ. დადენკომ—20 კ.
„განათლებლის“ საზ. სკოლის მასწავლე-ბელთ დაადგინეს: უოველთვიურად თითო მანათი გადაიხდონ.
მზარეულები: ნეს. მერ. სულაძე—3 მ. ლევ. ანჭავაძე—2 მ., თ. სვანი—1 მ., სიმ. სოხაძე—1 მ., დ. კუჭიძე—1 მან., ვაჭარი ალ. ბაღინაია—1 მ., ვეჭ. სამ. გელოვანმა—25 მ.

მოსწავლენი—შადუნა და თამარ ანჭა-ძენი—ათ-ათი შურა, სულ 10 მ. (აქედან 5 მ. წ. კ. ს. სასარგებლოდ).
ეჭიმ ილია იოსების-ძე ანდრონიკა-შვილმა—ამ თავით ერთი თუმანი, ხოლო დღეი-დან ამანამ ასალს თეტრში ისევე აფრადდება ფარდა, “**თვიურად თითო თუმანი**. ამასთანა-ვე გრძნობაერთი წერია აქვს მოთავსებული ისახ. ფურა. № 103.
ნიჟინერ ანატ. ნიკ. და დარია კონსტ. (მ. ვინდერბახი) კალიგინებმა 25 მ.
პავლე კალანდაძემ—3 მ.
გრ. მიქაშვილის მეაერ—შეკრებილი სოფ. სანახოში—7 მ. 10 კ.
ქართველ მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა 33 მან.
ანიკო და სოსიკო მერკვილაძეებმა—10 მ.
ეკ. ე. იაშვილისამ—5 მ.
პატარა და-ძმით შენა, მარგო, ილო და ნინო იაშვილებმა—2 მ.
დომ. ი. მელაშვილმა—2 მ.
რაჟ ალ. გაჩეჩილაძემ (სად ქარელიდან) მთელი ოჯახით—10 მან.
ალ. შინიგვის აფთიაქში მოსამსახუ-რეთ—**სუთ-სუთი მანათი** კატაქათათაშვილმა ვლ. რუსიძემ, ტრ. ქელაძე-ანმა, იმ, უიფიანმა, და ბორის კანდელაკმა. გ. ბარნაბა-შვილმა—3 მ., ვარ. ავდიანმა—10 მ., სულ 38 მან.
სენაკის თავ. ა.ზ. ქართულ სკოლის მასწავლებლებმა—ზოლოტანზე ღონთქიფანძემ გიორ. ბოკერაძემ, რაჟ. გამსახურდიამ და კორ. ვოტაშვილმა—ათათ თუმანი, სულ 40 მ. ამასთანავე იმედოვნებენ 100 მან. შეკრავონ.
ვ. საათაშვილმა (გლეხა ვანა)—3 მ.

წერილი აგებენ

➔ **ოთხშაბათს** არტ. თეატრში „ყაჩაღები“

➔ **ქართული თეატრის ასაწარმოებლად** ფონდის სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში დ. ხაშურის საგანგებო გიმნაზიის მასწავლებელი ბ. კონსტანტინე გვაგუა წაიკითხავს სახალხო ლექციას; „სიცოცხლის საზრის ძიება არილი ჯორჯაძის ნაწარმოებში“. ამავე საღამოს გამიარებება კონცერტი მასწავლებელ არ. ლვინიაშვილის ლიტერატურით და დაიდგმის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი.

➔ **ნაპალაძის სცენის მოქვარებითა წრემ**, გრ. ჩარკიანის წინადადებით, მოილაპარაკა ქართულ თეატრს დაემარსოს ნიეთერად, რაშიაც მიეღი უბანი მიიღებს მონაწილეობას.

➔ **ავლაბრის სცენის მოქვარებითა წრე** ამ მოკლე ხანში წარმოდგენას გამართავს ქართული თეატრის ასაწარმოებლად ფონდის გასაძლიერებლათ.

➔ **სახალხო სახლის ქართული წრე** მომართულ დასთან წარმოდგენის გამართვას აპირებს ქართულ თეატრის ასაწარმოებლად ფონდის სასარგებლოდ.

➔ **სიღნაღის სცენის მოქვარებითა ჯგუფი** ამ მოკლე ხანში წარმოდგენას გამართავს ქართ. თეატრის ასაწარმოებლად ფონდის გასაძლიერებლად. წარმოსადგენად განსარჩულია „არსენა“ და „ადგილკატანა.“

➔ **ახალი თეატრის ასაწარმოებლად** თანხის გასაძლიერებლად ივ. პეტ. ფალიაშვილი ივ. პეტ. სარაჯიშვილის მონაწილეობით დიდ სიმფონიურ კონცერტის გამართვას აპირებს სახაზინო თეატრში.

➔ **დეკაბრისტთა სპეკიუმუსო** მთელმა შემადგენლობამ გადასდო ჯამაგირის 10% და ყოველთვიურად, სანამ ახალ თეატრს აშენდება.

➔ **თბილისის სახალხო** თვითმართვლობის ქართველ მოსამსახურეთა ჯგუფმა გადასწყვიტა—მოაგროვოს ერთდროული შემოწირულობა ქართ. თეატრის აღსადგენად და ამავე მიზნით მოაწყოს ყოველთვიური შემოწირულების შეგროვება ქალაქის ყველა მოსამსახურეთა შორის.

➔ **ხარჭუხის კლუბი** 7 ღვინობისთვის სახამთრო ბინაზე გადავიდა.

➔ **ახალი კლუბი** ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას. ქართ. თეატრთან გაჩენილ ცეცხლისგან უსაზარლნია 25,000 მან. მეტი.

➔ **თელავის წ. ა. ს. ბანაძის** მხარეში შესდგა კომიტეტი თეატრის სასარგებლოდ შემოწირულობათა შესაკრებლად, ხოლო კახეთის სოფელში დაარსდება კომისიები ამავე კომიტეტთან ერთად საქმეწოდით. კომიტეტი წ. ა. გამგებობის მეთოდით შემადგენლობის გარდა, კიდევ 14 კაცი აირჩიეს. მათ შემადგარ კრებებზე დასწრეთა შორის გაიმართა ხელმოწერა. შეგროვდა 300 მანათლენი.

➔ **მოსკოვის უნივერს. არს. ქართულთა** თვისბრმო თეატრის ასაწარმოებლად ფონდის სასარგებლოდ ფულის შეკრებას აპირებს.

➔ **ოკაჩინოვსკი მუსიკის ქართულთა** ფულის შეკრებას აპირებენ ქართ. თეატრის ასაწარმოებლად.

➔ **ქართულ ღრამ. დასის წარმოდგენა** „არტის ს.ა.ო. თეატრში“ გამართება ოთხშაბათს.

➔ **სახალხო თეატრმა**, რომელიც აღებული აქვს ბ. ევლიანიშვილს, ქართულ დასს 450 მან. მოსთხოვა ღამეში.

➔ **არტისტ. ს.ა. თეატრმა** ქართულ დასს წარმოდგენების გასამართავად დაუთმო ოთხშაბათები მხოლოდ ოქტომბერში, ღამეში 250 მან.

➔ **ავლაბრის სოფლის** დაიწყება კვირას, 19 ღვინობისთვის. წარმოსადგენად განზარხ. „სამშობლო“.

➔ **ხარჭუხის წრემ. მხარე. წრის წლიური** სახ. კრება სადგინდოდა დანიშნულია განსახილველია გასული წლის ანგარიშები და მომავალი სამოქმედო გეგმა.

➔ **ქართ. ღრამ. ს.ა. ს.ა.ო.მ.ა.ო.** კრება მოხდება 26 ღვინობისთვის.

➔ **ავლაბრის ს.ა.ო. წრე.** გამ. წრე ვარზამოვიშვილ თეატრში (კახეთის ქ.) აპირებს გადმოსვლას წარმოდგენების გასამართავად.

➔ **ქართ. ღრამ. ს.ა.ო. გამ-ის თავმჯდომარე**, თავ. პავ. ი. თუმანიშვილი ამ მოკლე ხანში სპარსეთს მიემგზავრება, სადაც ათიოდე დღე მოუვლიანდება.

➔ **ღრამ. ს.ა.ო. გამგებობა და დასი** საკირო პიესების უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. სასურველია, თუ ვისმეს მოეპოვება ცნობილი და წარმოსადგენად ნებადართული პიესები (ხელთაწერი ანუ ნაბეჭდი), ღრამ. სახ. შესწიროს ბიბლიოთეკის შესადგენად.

➔ **ღრამბატურმა ი. გეღვანიშვილმა** თავისი პიესების წარმოდგენათა ჰონორარი სრულიად ქართულ თეატრის ასაწარმოებლად თანხის გასაძლიერებლად გადასდო. ამიტომ ყველამ, ვინც კი მის პიესას წარმოსადგენს, სადაც უნდა იყოს, კუფონილი ჯილდო თეატრის ასაწარმოებლად შემდგარ კომიტეტს უნდა გაუზღავოს.

➔ **ქართ. ღრამ. დასი თვეში** თითო წარმოდგენას სახალხო სახლში გამართავს

მ წ ი ბ ნ ო ბ რ ო ბ ა

მიხილეთ:
➔ „**მინ იმო ილია ჭავჭავაძის**“ ამოღებულ იქურ. „მიწიდან“, გამოცემა იასან კერესელიძის №4, ქ. გორი, 1914 წ. 15 გვ. ილია ჭავჭავაძის სურათით ფ. 3 კ.

➔ **შეცდომის განხილვა.** გასული კვირის ნომერი, მე-16 გვ მე-7 აუქარში დაბეჭდილია „პარიზში“, უნდა იყოს **საზრუნავითი**.



(წ. — 31)

ა. ო. იაფილი

(თბილისის საქალაქო 1-ელ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ჯანდაცულობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

ბ. სოლომონი

იღებს ჯანდაცულობებს
დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
ვოლოკინის პრ., № 12.

ვ. ლამაზი

შინაგან და ბავშვთა ჯანდაცულობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

გ. თიანათა

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებათა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
კირიანის ქ. № 18

დ. მიქელაძე

შინაგან და ბავშვთა ჯანდაცულობათა.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პრავა. № 117. ტელეფ. 8—16.

ე. ნათიშვილი

ანისა, ვენერაული და სიფილისისა.
დილით 11¹/₂—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

ექ. ვანტანგ ღამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთა გავგზავნებათ ფოსტით მოთხოვნისათანავე.
მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**
ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

სინათლე

ზღაპარი-ფეერია 3 მ. 3.
7 ს. ი. გიგინეიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატი.

ფ. 30 კ. ათობლივ და ასობლივ ნაღვეს მყიდველთათვის წიგნი დეტალურად 22 კ. ფასადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Три да Цховреба“—Иосифу Имедашвили.

(10—11)

ახალი წიგნი

ჯექსები, სცენები და მოთხრობები

ა. მ. ახანაზაროვისა

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საქსობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საქ. სახლი. წიგნით მოვარჯიშებს ზეგულეობრივი % დეტალურად.

(5—11)

22 ავჯისტ. გამოდის ყოველდღიური საბოლიტ. და სალიტ. გაზეთი

ახალი აზრი

გაზეთი ღირს: 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეო—ორჯერ მეტი.

კანტორის ადრესი: Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Теодилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერი მიიღებს რედაქციის კან. პირდაპირ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

ურთობა

სალიტ-საბოლიტ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორ შაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., 3. ფერაძის და ნ. კარნაუზოვის სტამბის სადგომში.

პაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარეო ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: „Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

სორაბანი-ს გამოსვლა
დიობეჭა ქართული მწერლები და გამოვიდა შედეგანი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. 1 ფასი 80 კ.



ფასი 50 კ

ჯაჯუ ჯორჯიკიას

ვინაიდან ომინობამ სელი შევეიშალო, ამიომ

თხზულებით პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგრძელებთ
ენკნისთვის ბოლო რიცხვებამდე. წიგნი ხელის მოწერით
დირს ათი შუბრი. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება
და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ აღრესით: ქუთაისის
„შრომისა რელქციაში გიგლა მებუკეს. გამომცემლობა
„ნარგიზია.“

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის შიერ ნათარგმან შექსპირის რვა ტრადიციის გამოცემისადმი. (ჰამლეტი, ოტელი, მეფელირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სმძიძოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამ ვადალ: პირველი შემოსატანი—1 მან., მეორე—პირველ ნომერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ქართ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მალაზიაში, და გამოცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) თეატრის და ცხოვრებისა რელქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ინსტასია აღექსანდრეს ასული მაჩაბლისა.